

შენიშვნების ფურცელი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“ დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე“		
სამინისტრო, უწყება	შენიშვნა, წინადადება	
	გათვალისწინებულია თუ არა	
იუსტიციის სამინისტრო	ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ის საკითხები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ სასამართლოებში ადმინისტრაციული დავის საგანს. ამ საკითხებში არ არის მოხსენიებული თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობით მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა.	გათვალისწინებულია
	21 <sup>ა</sup> მუხლის მე-2 ნაწილში განსაზღვრული არ არის, თუ რომელ ორგანოს ან თანამდებობის პირს აქვს ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემოსავლის ჩამორთმევის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება.	გათვალისწინებულია  21 <sup>ა</sup> მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია სარჩელის აღძვრაზე უფლებამოსილი პირი.
	კანონპროექტის მე-2 მუხლის თანახმად, ეს კანონი ძალაში შედის კანონმდებლობაში თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობისა და ლიცენზირების საკითხებთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებების განხორციელებისთანავე. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ბუნდოვანია რა იგულისხმება სათანადო ცვლილებების განხორციელებაში, რამაც კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოშვას.	გათვალისწინებული არაა  ვინაიდან ერთის მხრივ თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობისა და ლიცენზირების საკითხებთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებების განხორციელება გათვალისწინებულია კონვენციით, ხოლო მეორეს მხრივ შესაძლებელია უკვე არსებობს მოქმედ კანონში თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ“ (მე-15 მუხლი – 2004 წლის 1 ივლისის ცვლილება), აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლებიც არეგულირებს იგივე საკითხს.
	გარდა ზემოაღნიშნული შენიშვნებისა, ზოგადად პროექტის მიმართ გაგვაჩნია შემდეგი სახის შენიშვნა:  კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებულია არა უშუალოდ დანაშაულის საგნის ან საშუალების კონფისკაციის ინსტიტუტი, არამედ თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა. მართალია, საქართველოს კანონმდებლობაში უკანონო თუ დაუსაბუთებელი, აგრეთვე რეცეპტული ქონების ჩამორთმევა გათვალისწინებულია, მაგრამ ორივე შემთხვევაში ამგვარი შემოსავლისა თუ ქონების ჩამორთმევის პროცედურები მიმდინარეობს ან კონკრეტულ საქმეზე სისხლის სამართალწარმოებასთან ერთად ან მის შემდგომ	აღნიშნული ზოგადი ხასიათის შენიშვნის თაობაზე უნდა ითქვას, რომ თამბაქოს უკანონო ვაჭრობით მიღებული შემოსავლების კონფისკაციის აუცილებლობა გამომდინარეობს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის კონკრეტული მოთხოვნიდან. ამასთან, ამ მოთხოვნის საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის გზად ამ ეტაპზე მიწვეულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ცვლილება, ვინაიდან ერთის მხრივ საქართველოს კანონმდებლობაში დანაშაულებრივი გზით მიღებული

და, აქედან გამომდინარე, ორივე შემთხვევაში ქონების ჩამორთმევა უკავშირდება სისხლის სამართლის დანაშაულს.

რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავლების საკითხს, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული საკითხი მოწესრიგდეს უშუალოდ ერთი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. თუმცა, პროექტის შინაარსიდან გამომდინარე გაურკვეველია, თუ რა სახის შემოსავლის ჩამორთმევაზე შეიძლება იყოს საუბარი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებულ თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის შემთხვევაში.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული ქონების ჩამორთმევის საკითხი საჭიროებს სერიოზულ კვლევას, მით უფრო, რომ ქონების ჩამორთმევის, როგორც სასჯელის სახესთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ უნდა იქნეს საბოლოო გადაწყვეტილება.

შემოსავლების კონფისკაციის პრაქტიკა შემოღებულია სწორედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით. მეორეს მხრივ თამბაქოთი ვაჭრობის დარღვევებზე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს როგორც სისხლის სამართლის ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები, ხოლო თამბაქოს უკანონო ვაჭრობით მიღებული (როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართლებლივი დარღვევით მიღებული) შემოსავლების დადასტურება და ჩამორთმევა, როგორც ეს შენიშნაშიცაა აღნიშნული, ითხოვს სერიოზულ კვლევას, მსგავს პროცედურებს და მიდგომებს და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებით შესაძლებელია ამ მიდგომების თავმოყრა.

რაც შეეხება საკითხს ქონების შესახებ, უნდა ითქვას, რომ კონვენციაში საუბარია უშუალოდ შემოსავლების და არა ქონების კონფისკაციაზე.